ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2411975

ნომერი: AR1345008

თარიღი : 28.09.2015

გაცემის თარიღი : 12.02.2016

გაცნობის თარიღი : 13.07.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მზიურის მიმდებარე ტერიტორია , (ნაკვ. 005/117) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი თავდიშვილი პ/ნ 61001002615
- ვაჟა-ფშაველას გამზ#3, ბ#9

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური გაეცნო თქვენს AR1345008 განცხადებას, რომლითაც ითხოვთ ფუნქციური ზონის ცვლილებას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს: საკითხი ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ განხილული იქნა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2016 წლის 21 იანვრის #3 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზე ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.14.14.005.173) ფუნქციური ზონის – საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2, საცხოვრებელი ზონა 5-ის ცვლილებას ეთქვა უარი, სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. აქვე გაცნობებთ, რომ ზემოთაღნიშნული სხდომის ოქმიდან ამონარიდი მომზადებისთანავე გამოგეგზავნებათ შეტყობინების სახით.

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.